ოთხშაბათი, 20 თებერვ. 1908 წ.

ᲘᲡᲐᲠᲘ

წელიწადი მეორე — № 41

გაზეთი «ისარი» ერთის წლით დიდს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კ., ერთის თვით—90 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიგზეშინ

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე მეტი ტიპით დიდს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა 7 ერგელ გვერდზე თითოეული სიტყვის 5 საათამდე დიდს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, გვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღეზეს 4 საათამდე.

ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მეორე წერილებს და ავტორებისადმი რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინტერესებულთა მხოლოდ დიდი წერილები და [illegible] ლებთ პასუხისათვის საჭირო [illegible] ბრძანდეს მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, გვირა-უქმეების გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღეზეს 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ფიქრ 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ

ფასი ერთი ნომერი ყველგან 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

ყოველ დღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ᲘᲡᲐᲠᲘ

გაზეთის ფასი:

ერთის წლით:		ნახევარი წლით:		ერთი თვით:	
ტფილისსა და ტფილის გარეთ	7 მ.	4 მანეთი	50 კაპ.	90 კაპ.	
საზღვარ-გარეთ	12 მ.	6 მანეთი.		1 მანეთი	50 კაპ.

ფასი ერთი ნომერი ყოველგან ერთი შაური.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველი იანვრიდან პირველ იანვრამდე.

ფოფოლ თვიური ფასი გაზეთისა:

	1	11	10	9	8	7	6	5	4	3	2	1
ტფ და ტფილის	ფლით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით
გარეთ	7	6—50	6	5—70	5—80	4—90	4—50	4	3—80	3—60	3—50	3
საზღვარ-გარეთ .	12	11	10	9	8	7	6	5	4—50	3—50	2—50	1—50

ხელის მოწერა შეიძლება:

ტფილისში: 1) «ისრის» რედაქციაში (ელისაბედის ქუჩა, № 1, მილოვის სახლი); 2) «ქ. ბ. წ.-ქ. საზოგადოების» მაღაზიაში შინა ქუჩეულაშვილთან (ალაბლის ქ., თავდაზნაურების ქარვასლა); **ქუთაისში:** ისიდორე კვიკარაძესთან («იმპერიათის» წიგ. მაღაზია); **ბაკოში:** ს. ტარიელაშვილთან (ვიაფურის ბაღი).

ფოსტით ფული უკანუოდ ამ ადრესით უნდა გამოგზავნოს: Тифлисъ, Кочубеевская ул. № 14. И. С. Агладзе.

ნაში გოზაღოგი, კაკო ოგანეს ასოდი ანოგოთოგი, ეკატერინე ოგანეს ასოდი ოსეფოგისა, ეკგენი ბაატოგი, გოანეს ადეკსანდრეს ასოდი ხეგსტეფოგი, რიფსიმე მიხეილის ასოდი ენიკოდოფოგისა, ბაკრატ ქრისტეფორეს ძე ხეგსტეფოგი, მიხეილ ადეკსანდრეს ძე ანეფოგი. მიხეიდ ბაკრიოს ძე ოსიფოგი და ნიკო სტეფანეს ძე ენიკოდოფოგი გულითადის მწუხარებით ატყობენ ბოდაცვლებას პირველი სამი—ძმის, მეორე ბიძისა, დანარჩენნი დეკეფყარენთესიანი

სერგეი იგანეს მე ᲗᲐᲢᲝᲒᲘᲡᲐᲗ.

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 21 თებერვალს, ბოჯიანქის სასაფლაოზე. ადრესი: ბოლაბარი, ცოცანოვის ქუჩ. სახლი გოზალოგოვისა № 9.

უკანასკნელი ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ. **უკანასკნელი**

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ხუთშაბათს, 21 თებერვალს, 1908 წ ქართული დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ქართული თეატრის რეჟისორის და არტისტის

ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲒᲣᲜᲘᲐᲡ ᲡᲐᲒᲔᲜᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

პირველად ქართულ სცენაზე ცნობილი პიესა ევგენი ჩრჩილოკვისა.

ᲔᲒᲠᲐᲔᲚᲔᲒᲘ

დრამა 4 მოქმედებად თარგ. ვალ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივი. **დასაწყისი სწორედ სამეთის 8 საათზე.**

მორიგი წერილ გამგეობის **თვ. ნიკ. ეროსოვი.** რეჟისორი **ვალერ. გუნია.**

ოთხშაბათს 20 თებერვალს 1908 წ. ტფილისის საკრებულოს დარბაზში

ᲬᲐᲠᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲛᲝᲠᲒᲔᲚᲝᲓ

გაიმართება წარმოდგენა და კონცერტი

I **ᲒᲐᲧᲠᲐ,** 1-ლი მოქმედება გ. ერისთავისა.

II **ᲑᲘᲫᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲮᲣᲛᲠᲔᲑᲐ** რ. ერისთავისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნი მარ. საფარეულისა და ფრამატ. საზოგადოების დასის არტისტები.

III **ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ-ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ**

განყოფილება. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ოკუნევისა და სიმფონიისა; ბ-ნნი ი. აბამეძე (ვიოლონჩელი), მახინი, ბაგლოვსკი, ბ. მურგმეფეში (სკრიპკა), ნ. ერისთავი და ს. მგალოშლიშვილი. დასასრულ გაიმართება ქართული და ევროპიული

ᲪᲔᲙᲕᲐ.

ბილეთები იყიდება «წერა-ქ. საზოგადოების» კანცელარიაში. დასაწყისი 8 ს. (ე. 6—6)

ტფილისის სახალხო თეატრი. რუსული ოპერა.

რეპერტუარი მთელის კვირისა:

ოთხშაბათს, 20 თებერვალს, ვინ. კოტბოდოს მონაწილეობით **«ᲠᲝᲒᲝᲠᲪᲘ-ᲓᲘᲐᲜᲝᲚᲝᲡ»**, ოპ. მეიერბერისა.

პარასკევს, 21 თებერვალს, ორი წარმოდგენა: დილითო დაკლებულის ფასებით **«ᲡᲔᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲚᲐᲥᲘ».**

სალამოი ჩვეულებრივის ფასებით—**«ᲝᲠᲗᲝᲜ ᲨᲝᲨᲝᲚᲝᲔᲗᲘᲗᲘ».**

შაბათს, 23 თებერვალს, ორი წარმოდგენა: დილითო დაკლებულის ფასებით—**«ᲘᲕᲐᲜ ᲡᲣᲡᲐᲜᲘᲜ»**, ეკვერა; სალამოთი ბენეფისი კიპელეისტერის ფალიმეფილისა: 1. **«ᲒᲐᲜᲓᲐᲒᲐᲜᲘ»** ოპ. გაგნერისა (ᲛᲔᲠᲚᲘ. ᲘᲜᲔᲑᲐ ᲣᲤᲐᲠᲔᲑᲐ და ორი აქტი); 2. **«ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ»** ოპ. ჩაიკოვსკისა; 3. **«ᲠᲝᲜᲓᲘᲜᲔᲚᲐ»**, ოპ. ხეროვისა (უკანასკნელი აქტი).

კვირას, 24 თებერვალს, ორი წარმოდგენა: დილითო ჩვეულებრივის ფასებით

„ᲝᲠᲗᲝᲜ ᲨᲝᲨᲝᲚᲝᲔᲗᲘᲗᲘ“.

სალამოითი გამოსამშვიდებელი წარმოდგენა—სხვა და სხვა ოპერებიდან.

დილის წარმოდგენები დაიწყება 12 **საათზე, სალამოითი** 8 **საათზე.** (4—2)

ᲫᲛ. ᲜᲘᲙᲘᲢᲘᲜᲘᲡ ᲪᲘᲠᲙᲘ.

ოთხშაბათს, 20 თებერვალს, 1908 წელს, **დიდი წარმოდგენა.** სამ მოქმედებად. პირველი—ხარისხოვანი არტისტები. ღღეს სახსოვრად საზოგადოებას დაურიგებენ საჩუქრებს, სულ 175 მანეთისას. უმთავრესი საჩუქრები: ვერცხლის სერვიზი ან 50 მან. ფულად, სამი ქალის ოქროს საათი, ოთხი სამოვარი, ოქროს და ვერცხლის კაკაის საათი. ტელოს ნივთები და ლამპები. ნივთები დარიგდება 11 საათზე. ბალეტი-ფეერია. დასაწყისი 8½ საათზე. კასსა ღია 11-დან 2 საათამდე, და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე. დაწერილებით პროგრამებში.

(1—17—1) დირიჟორი **ალექ ნიკოფანი.**

მთავარი მაღაზია

პ. ს. ᲓᲝᲠᲝᲤᲔᲩᲝᲕᲘᲡᲐ

სოლოლაკის ქუჩა, სახლი გუბგენოვისა, ტელეფონი № 583.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 21 ᲗᲕᲘᲡᲐᲕᲘᲡ, ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ Დ. Ო. 21, 22, 23

ᲓᲐᲙᲔᲢᲘᲚᲘ ᲘᲧᲜᲔᲑᲐ.

რადგან მზადდება საქონელი დიდ იაფობისათვის (1—628—1)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ქირურგიული და დედათა სნეულების

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲘᲕ. ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲜᲘ

გაიხსნება ამა წლის 20 თებერვლიდან.

ადრესი: ტფილისის ქუჩა, სახლი კირიშჩეკოვისა, „იმპერიალი“-ს სასტუმროს გვერდით. (25—56—16)

ᲕᲘᲠᲜᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲔᲦᲔᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲗᲐᲓᲐᲠᲘ, ᲜᲐᲠᲘᲛᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ

ᲒᲣᲤᲔᲢᲘ

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲣᲠ-ᲚᲘᲕᲘᲜᲝ“

ბუფეტში მოიპოვება ყოველგვარი ევროპიული და ქართული საჭმელი, მომზადებული მუდამ ახალ სანოვაგისაგან. კახური ღვინები, საუკეთესო ბაში და ლიქიორი. სისუფთავე სანაკებო. ფასები ყველასათვის ხელ მისაწვდენია. (25—6)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ ᲐᲚᲛᲣᲠᲝᲕᲘᲡᲐ

ნიკოლაევის ქუჩაზედ, საგინოვის სახლში, № 7. (2—129—1)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲨᲘ

ᲔᲥᲘᲛᲘ Ი. Ი. ᲩᲐᲠᲕᲔᲩᲝᲕᲘ

განსაკუთრებით იღებს **ვენერიულ, ხიდიდან და ბენი ავადმყოფებს.** 12—2 საათამდის. გეგეჭორის ქუჩა, აბულაძის შესახვევში, ოთხელიანის სახლში. (25—ფ.—2)

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ვ. ᲕᲐᲕᲐᲫᲘᲫᲘ

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., სალამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კირიჩენის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (ᲤᲐᲡᲘ—00)

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ვ. Ხ. ᲛᲣᲨᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

სდებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კირიჩენი ქუჩა № 9. (ᲗᲕ.)

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ და ᲠᲔᲜᲢᲒᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲒᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ეკორანგის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—437—56)

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲜᲘᲜᲝ ᲠᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7 საათზე, ვერა ოლგას ქუჩა, № 2 (0—297)

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

Მ. ᲛᲣᲠᲐᲒᲝᲕᲘ,

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკისა, იღებს შარდით, **ვენერიულ (ხიდიდან) და ბენი ავადმყოფებს** დილით 9—11 საათ. საღამოთი 5—7 საათზე. რტიშჩევის ქ. № 1, ცალსა მერჩენი რაზმის პირველარი. ტელეფონი № 711. (21—ხ.—17)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

შინაგან სნეულებით და ბავშვების

ᲔᲥᲘᲛᲘ Ვ. Ბ. ᲒᲐᲐᲣᲜᲘᲐ

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 11—2 საათამდის და საღამოს 6—8 საათამდის. ფოსტალის მესახვევი, გორგიძის სახლში № 5. (25—125—2)

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲑᲐᲚᲐᲜᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საღ. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—58—23

ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

Ზ. Ვ. ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

კორპუსის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და სალამოს 5—6 ს. ვერა ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—25—12)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

Ვ ᲐᲠᲐᲩᲝᲕᲚᲘᲐᲜᲘ

იღებს ავადმყოფებს დილის 9—3-მდე და საღამოს 5—7-ის. ტფილისი ქ. ბოკოვიანის სახლი, ბინა კ. დადიშკელიანისა. (25—43—17)

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲗᲐᲡᲘ

ᲖᲣᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

22 თებერვალს გაიმართება

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

ადგილობრივ ოპერის არტისტ. მონაწილეობით.

ტასო ბაბაშიძე და ილარიონი იმღერებენ დუეტს ოპერეტიდან „ნატვრის თვალი“. ილარიონი და ეკატერინეული წოიკოთხვენ ლექსებს. ცხოველიძე იმღერებს რუსულად. სხვათა შორის განსინორსკის ლოტბარობით დაიდგმება „სხვაგშო. სიმფონია“, ჰაიდნისი. კონცერტის დაწყებამდის ბ-ნი სიდოროვი წოიკითხავს ჰაიდნის ბიოგრაფიას.

დასაწყისი ღღის 12 საათზედ. ბილეთები 10 კაპ.—60 კაპ.

მარტის პირველ რიცხვებიდან ტფილისში გამოვა ყოველკვირეული პროფესიონალური, ეკონომიური და მეცნიერულ-პოპულიარული გაზეთი

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ“

გაზეთი დაბეჭდილია:

ერთი წლით—2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. 40 კ., სამი თვით—75 კ.,

პროვინციაში:

ერთი წლით—3 მ. 10 კ., ნახევარი წლით—1 მ. 70 კ., სამი თვით—90 კ. ცალკე ნომერი ყველგან ფასდა კაპეიკი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე დილის ცხრა საათიდან ნაშუადღეზეს 2 საათამდე და საღამოს ოთხი საათიდან შვიდ საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Семеновская улица, № 4, редакція газеты „Чвени квекана“. (5—1)

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 20 თებერვალი.

გუშინ შესრულდა 47 წელიწადი მას შემდეგ, რაც რუსეთში მოხდა დიდი რეფორმა: მრავალ მილიონ გლეხთა განთავისუფლება ბატონ-ყმობისაგან. დიდია და განუზომელი ის ისტორიულ აქტის მნიშვნელობა, რომელმაც პირადი თავისუფლება მიანიჭა მრავალ მილიონ ადამიანს, დაამხო სამარცხვინო მონობა და სამირკველი ჩაჰყარა ახალ მოკალეთობრივ ცხოვრების ადორძინებისათვის. მაგრამ არა ნაკლებ დიდია ის ჩრდილიც, რომელიც თან ახლავს ამ ბრწყინვალე ისტორიულს აქტს და რომლისგან ჯერაც ვერ განთავისუფლებულა და ვინ იცის—როდის განთავისუფლდება.

როცა ეს რეფორმა სრულდებოდა—მესამოცე წლებში,—მის 'გარშემო დიდი ბრძოლა ისტყდა. „ბატონები“ და მაშინდელი რეაქცია იმ აზრისა იყვნენ, რომ გლეხობა განთავისუფლებულ უნდა იქმნას უმიწოდ; მთელი მიწა-წყალი უნდა დარჩეს თავადაზნაურობასთან, „თავისუფალი“ გლეხი გადაიქცევა მოიჯარადრეთ, ხოლო ბევრი მათგანი ქლიავად გიიხიწნება და ხელს შეუწყობს მრეწველობის აღორძინებას, რაკი ბაზარზე ბევრი იაფი მუშა გაჩნდებოო. მათ აზროვნების წინაშე იხატება ინგლისის ისტორია და ქალაში მოსდიოდათ რუსეთში დენდლორდიზის გადმონერგვა... ერთი მუქა მაშინდელი მოწინააღ ინტელიგენციაც სრულიად წინააღმდეგ აზრს ადგდა: განთავისუფლებელს გლეხობას, პირიქით, მთელი მიწა-წყალი უნდა გადაეცეს საოთემო მფლობელობაში და ამ გზით თავიდან ავიცილენთ ინანმეფლოვნე ევროპიულ ეკონომიკაციის უსაშინელეს იარას—პროლეტარიატის გაჩენასაო. ამათ აზროვნებაში იხატებოდა უტოპიური ოცნება, ვითომ რუსეთი კაპიტალისტურ ეპოქას თავიდან აიცილებს და პირდაპარ სოციალურ სამართლიანობის სამეფოში გადავა. ამ ორ უკიდურეს მოწინააღმდეგეთა შუა მოთავსდა „ოპოლურ პოლიტიკის“ მოტრფიალეთა სხვა და სხვა ჯგუფი და მათ შორის მაშინდელი მოთავრობაც, რომელნაც წინააღ-

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲔᲠᲣᲠᲚᲝ-ᲒᲐᲛᲔᲗᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲠᲘᲐ

„ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ“

უკანასკნელად იცადიბს „ისარის“ ხელის მომწერელებს საყურადღებოდ, რომ ზოგიერთ მათგანზე დარჩენილი ოქვერი ფული 1907 წ. კიბეთისა შემოტანონ **თვით კანტორაში,** რადგან ერთმა დამტარებელთაგანმა ბოროტად ისარგებლა კანტორის ნდობით და თავისდა სასარგებლოთ ადროვებს ფულებს. (5—2)

ლმდეგნი იყვნენ ყოველ გვარ „ძირითად რეფორმისა“ და ბრძოლა ამმართეს მხოლოდ იმის გარშემო, თუ რამდენი მიწა მიეცეს გლეხობას და რა პირობებში. ამათ ბრძოლას მოჰყვა კომპრომისი, რომელიც დიდათ შესამჩნევად იყო გადახრილი რეაქციისაკენ: გლეხთ მიეცათ მცირე ნადელები, რომელთა გამოსყიდვა ითავა ხაზინამ, ხოლო გლეხობას, ხაზინის ზარალის დასაფარავად, დაეკისრა ნადელის გამოსასყიდი გადასახადი. დამარცხდა ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც აფრთხილებდა მთავრობას, რომ ასეთი „ნახევარ რეფორმა“ დიდ განსაცდელს უმზადებს რუსეთს, რადგან სამუდამოდ ეკონომიურს კრიზისში ჩააგდებს მცირე მიწა-წყლის პატრონს გლეხობას, რომელიც ამ მცირე მიწით სარგებლობისათვისაც-კი დაბეგრილი იქნება სახელმწიფოსაგანაო.

ეს წინასწარმეტყველება სავსებით გამართლდა. პირადის მონობისაგან განთავისუფლებული გლეხობა ეკონომიურ მონობის მსხვერპლი გახდა და მისი ცხოვრება გადაიქცა დაუსრულებელ კრიზისად, დაუსრულებელ ტანჯვად. მიწის სიმცირე, გადასახადთა სიმძიმე და იურიდიული უუფლებობაც მთელი ნახევარი საუკუნეა აგერ სტანჯავენ გლეხობას, რომელიც თითქმის ყოველ წელს განიცდის ამ ჟამად არც ერთს განათლებულსა და კულტურულს სახელმწიფოში არ გაგონილსა და წარმოუდგენელს შიმშილობას. „გლეხთა საკითხი“, „აგრარული საკითხი“ ჟამთა სიავედ არის გადაქცეული რუსეთისათვის ეს ნახევარი საუკუნეა და ამოდ ელის გადაწყვეტას. **1861** წლის რეფორმის დამახინჯება ერთობ ძვირად დაუჯდა რუსის ხალხს და რუსეთის სახელმწიფოსაც ამყოფებს გამუდმებულს სოციალ-პოლიტიკურს კრიზისში.

თვითმპყრობელი ბიუროკრატია არავითარ ყურადღებას არ აქცევდა გლეხობის დრტვინვას, დღითი-დღე კრიზისის გაღრმავება-გაძნელებას და რუსეთის მოწინავე საზოგადოების განუწყვეტელ დადას გლეხთა მიწათ-მფლობელობის გაფართოვებისა და გლეხთა იურიდიულ მდგომარეობის გაუმჯობესობის საჭიროების შესახებ. იგი ერთის მხრით დაპირებითა და სენტიმენტალურის ფრაზებით ამშვიდებდა გლეხობას, მეორის მხრით დროგამოშვებით ეუბნებოდა: მიწების განაწილება („პერედელ“) არასოდეს არ მოხდებაო, და სოფლად პოლიციას აძლიერებდა. გლეხობა კი დაჟინებით მოელოდა სანატრელ „პერედელს“. ამასობაში-განმათავისუფლებელმა მოძრაობამაც მიატანა და თავის-თავად ეს საჭირბოროტო საკითხი—გლეხთა მდგომარეობა—პირველ რიგში წამოდგა. ახლაც, როგორც მესამოცე წლებში, დაიწყო გლეხთა მოძრაობა და ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ ძველებურად ამ საკითხის მოწყობა შეუძლებელია, რომ უპირველესად ყოვლისა აგრარულ კრიზისს უნდა ესა თუ ის გადაწყვეტა. როგორც მაშინ, ისე ახლაც ატყდა ბრძოლა ამ საქმის გარშემო და მაშინდელსავით ახლაც გაისმა მოთხოვნა, რომ მთელი მიწა მშრომელ გლეხობას უნდა გადაეცესო. ხოლოდ ახლა მოწინავე ინტელიგენცია უნიადაგოდ როდი იდგა განმარტოებული, არამედ მთელის გლეხობის მისწრაფებისა და მოთხოვნის გამომხატველად გადაიქცა და ამასთანავე აგრარულ რეფორმას აღარ ასაბუთებდა უტოპიურის იდეებით, ვითომ გლეხების ხელში მიწების გადაცემა სოციალურ სამართლიანობის სამეფოში გადასვლას უდრიდეს.. მაგრამ შეჩერდა განმათავისუფლებელი მოძრაობა, რეაქციამ ძალა მოიკრიბა და აგრარული მოძრაობა ჩაანელა. ჟამთა სიავე ისევ დარჩა ჟამთა სიავედ და „დიდ რეფორმის შესწორება“ არ მოხდა ისე, როგორც ეს იყო დასახული სოციალისტურ და დემოკრატიულ პარტიების მიერ, მიუხედავად ამისა ამ საქმეში მაინც სწარმოებს „რევოლიუცია“, მაგრამ რევოლიუცია უკუღმართი, რომლის შედეგი დიდი მნიშვნელოვანი იქნება რუსეთის მთელ მომავალისათვის. ამ „რევოლიუციის“ ფაქტებს შემდეგ წერილში გავახსენებთ მკითხველთ.

ახალი ამბავი

◆ **ოსმალელი ჯაშუშები.** როგორც ბათუმიდან გვატყობინებენ, 18 თებერვალს ბათუმში შეიპყრეს ორი ოსმალელი ჯაშუში. მათთან უნახავთ ქაღალდები, სადაც გადაღებული ყოფილა სიმაგრეები და ფორტები. უნახავთ აგრეთვე ქალაქის რუქა.

◆ **წარმოდგენა და კონცერტი „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ.** დღეს, 20 თებერვალს, ტფილისის საკრებულოს დარბაზში გაიმართება „წ.-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ წარმოდგენა და კონცერტი. წარმოდგენილი იქნება „გაყრა“, 1-ლი მოქმ. და „ბიძიასთან გამოხუმრება“. საკონცერტო ნაწილში მონაწილეობას იღებენ ოპერის არტისტები: ოკუნევისა, მახინი და პავლოვსკი, ქ. სიმონოვისა (როიალი) ილ. აბაშიძე (ვიოლონჩელი), მერემბლუმი, ნ. ერისთავი და ს. მგალობლიშვილი.

◆ **ჩეკების გატაცება.** 18 თებერვალს, ნაშუადღევის 1 საათზედ, აზოვ-დონის ბანკში ეტლით მიმავლებულან შაქრის ქარხნის ამხანაგობის რწმუნებული ლეიბ პოლიაკი და კანტორის გამგე შლემ დინაევსკი. ნერსესისა და რიყის ქუჩის შესართავთან მათ თავს დასცემია ოთხი შეიარაღებული კაცი. გაუტაცნიათ ტფ. საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების ჩეკი 12,000 მან., ერთი ჩეკი აზოვ-დონის ბანკისა 600 მან., ერთი „პერევოდი“ სახელმწიფო ბანკისა—5771 მან. 95 კაპ., და ამგვარივე „პერევოდ“ საკომერციო ბანკის სახელზე—1200 მ. წაუღიათ აგრეთვე 200 მან. ერთი ამასრულებელი ფურცელი და საათი.

◆ **„დროების კალენდრის“ კონფისკაცია.** გუშინ, 19 თებერვალს, გუბერნატორის განკარგულებით, პოლიციამ გაჩხრიკა „იდეალის“ სტამბა. პოლიცია დაეძებდა „დროების კალენდარს“, რომლის გავრცელებაც აუკრძალავთ. პოლიციამ ნახა ოცდა თხუთმეტი ცალი კალენდრისა და წაიღო.

◆ **საავტომობილო მიმოსვლა.** საფრანგეთის ქვეშევრდომს გ. ნ. როშს შუამდგომლობა აღუძრავს ნამესტნიკის წინაშე, ნება დართოს 1 აპრილიდან მოაწყოს საავტომობილო მიმოსვლა ტფილის-კოჯორ-მანგლის შუა. როშს უკვე ტფილისში ჰქონია ოთხი ავტომობილი (დილიჟენის მგზავსი) და სახელოსნოც მოუწყვია.

◆ **საქმე გადაიდო.** გუშინ ტფ. ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნული იყო საქმე ჩუბინიძისა, მაჭავარიანისა და ზუბაშვილისა, რომელთაც თავ. ამილახვრისთვის ყუმბარის სროლა ჰბრალდებათ. სასამართლოში არ გამოცხადდა ორი უმთავრესი მოწმე ნემსაძე და მაჩაბელი, რის გამოც საქმე 8 აპრილისათვის გადაიდო. არ გამოცხადებული მოწმენი ოცდა ხუთ-ხუთი მანეთით დააჯარიმეს.

◆ **რედაქტორი სამართალში.** 25 თებერვლისთვის ტფ. სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ყოველ კვირეულ გაზეთის „ახალი ქვეყანა“-ს რედაქტორის სოკრატ ქელიშვილისა. რედაქტორს ჰბრალდება მთავრობის საწინააღმდეგო წერილის მოთავსება გაზეთში. საქმე წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გაირჩევა. ბრალდებულს დაიცავს ნაფიცი ვექილი ნ. ზ. ელიავა.

◆ **ქალაქის თავი.** ქალაქის თავი ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, ავადმყოფობის შემდეგ, 19 თებერვლიდან უკვე შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

◆ **უმაღლეს კურსებზე.** ყველიერის გამო ლექციები უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრ. ბაღი) გადადებულია მომავალ კვირამდე. მომავალ კვირას ლექციებს წაიკითხავენ ი. აბულაძე (პრაქტიკული კურსი ქართულ გრამატიკისა და ნიმუშები ძველ და ახალ ქართულ მწერლობიდან), ვ. ტოტომიანი (კოოპერატიულ ამხანაგობის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვის) და ა. ფომინი (ბოტანიკა).

◆ **რწმუნებულების არჩევა.** კვირას, 17 თებერვალს, ტფილისის 1, 2, 3 და მე 4 საპოლიციო ნაწილების მოქალაქეებს კრება ჰქონდათ მოქალაქეთა რწმუნებულების ასარჩევად. რწმუნებულებად არჩეულ იქმნენ ჩიმიშკინი, ასტურიანცი, ზაროევი, მაკედონსკი, როგანოვი, ლულაძე, ოქროპირიძე, მერკვილაძე, ოლანესიანცი, ელიოზიშვილი, ნასყიდაშვილი, პუდელი, ჯანაგოვი, ამირაძე, არჯევანიძე, პეტროვი, ლაზარევი, ვართანიავი, გაიდუკოვი, ბდივანოვი და როლონისოვი. შემდეგი კრება მე-5, 6 და 7 ნაწილების რწმუნებულთა ასარჩევად მოხდება 22 თებერვალს.

◆ **პატიმრები.** მეტეხის ციხეში ამ ჟამად 540 პატიმარია.

◆ **სროლა.** 17 თებერვალს [illegible] ტის ქუჩაზე პოლიციელები დასდევნებიან ორ კაცს. პოლიციელებს 7-ჯერ მიუყოლებიათ თოფები, მაგრამ ააცდენიათ. უცნობებსაც სროლითვე უპასუხნიათ და მერე მიმალულან.

◆ **თავად-აზნაურთა თეატრი.** თავად-აზნაურთა თეატრი ჯერ დამთავრებული არ არის და ვილაც ანტრეპრენერს მედვედევს უკვე შუამდგომლობა აღუძრავს თეატრის იჯარით დათმობის შესახებ. მედვედევს საოპერეტო დასი მყავს.

◆ **თავდასხმა.** პანასიევის ქ ჩაზე 18 თებერვალს საღამოთი რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დაეცა მიმავალ სერგო ანტიპოვს. 8-ჯერ ესროლეს რევოლვერი. ხმაზე გაჩნდნენ პოლიციელები და ანტიპოვი ერთ პოლიციელს პოლიციაში გააყოლეს. ცოტა მანძილი რომ გაიარეს, პოლიციელს და ანტიპოვს ხელმეორედ დაეცნენ უცნობები და ისტეხეს სროლა, მაგრამ ვერა დააკლეს რა. ამის შემდეგ თავდამცემნი მიიმალნენ.

◆ **სახალხო კონცერტი.** 22 თებერვალს ზუბალაშვილის სახალხო სახლში აჯგილობრივ ოპერის არტისტთა მონაწილეობით გაიმართება კონცერტი. ტასო აბაშიძე და იმედაშვილი იმღერებენ „ნატვრის თვალი“-დან დუეტს. იმედაშვილი და ევდოშვილი წაიკითხავენ ლექსებს. ცხომელიძე იმღერებს რუსულად. განსიორსკის ლოტბარობით დაიდგმება „საბავშო სიმფონია“ შენ. ჰაიდნასი.

◆ **ქალაქის საბჭო.** 18 თებერვალს მოხდა ტფ. ქალაქის საბჭოს კრება. თავმჯდომარეობდა გამგეობის წევრი ნ. პ. კოკჩაევი. დაწყებისას ხმ. ხუნუნცმა განაცხადა: საბჭომ უნდა დაამოწმოს, რომ ამ დღეებში დაჭრილი ქალაქის ტეხნიკოსი ჩახმახსაზიანცი მეტად მშრომელი და ქალაქის ინტერესების დამცველი იყო; იგი პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და ამასვე სთხოვდა თავისს ხელქვეით მოხელეებს. საბჭომ თანაგრძნობა უნდა გამოუცხადოს ჩახმახსაზიანცსა. საბჭომ მიიღო ეს წინადადება. შემდეგ თავმჯდომარემ აცნობა საბჭოს გუბერნატორის მოწერილობა [illegible] არშაკ ბაბოვისა და [illegible] გადაყენების შესახებ. საბჭომ ამ წინადადებისა გამო კერძო ათათბირი გამართა და სხდომის განახლების შემდეგ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას გუბერნატორის წინაშე, რომ ა. ს. ბაბოვი დატოვებულ იქმნას ხმოსნად, ხოლო მამულოვის ნაცვლად მოწვეულ იქმნას კანდიდატი ვ. ა. ხომასურიძე. აუდიტორებად საბჭომ აირჩია შადინოვი და სალიმბეგიანი; სასწავლებელთა კომისიის წევრებად ა. ფიშერი და ალდადანოვი. დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა 1908 წ. ქალაქის შემოსავლის აღრიცხვის განხილვას. საბჭომ მიიღო გამგეობის პროექტი შემოსავლისა საფინანსო კომისიისა და საბჭოს გამოანგარიშებით, წელს ქალაქის კასის შემოსავალი მოსალოდნელია **1,442,599** მან.

პრესსა

რუსეთის პატრიოტულ პრესსას ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს. თუ იცნობს, ისიც კარგად ეცოდინება, რომ დიდი ბრიტანია და მისი ძლიერება, თავისუფალ წესწყობილებაზე დამყარებული, მუდამ ეკლად ხვდებოდა თვალში ამ პრესსას და სულ იმის ცდაში იყო, გულუბრყვილო მკითხველი მოეტყუებინა ყოველგვარ ცილის წამების გავრცელებით ინგლისსა და ინგლისის მთავრობაზე. ცილის წამებასა და ლანძღვა-გინებას აორკეცებდა ეს პრესსა განსაკუთრებით მაშინ, როცა ინგლისის საზოგადოებრივი აზრი თავის აღშფოთებას გამოსთქვამდა ხოლმე იმ საშინელებათა შესახებ, რომელიც რუსეთის ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენად არის გადაქცეული ეს რამდენიმე წელიწადია: ინგლისი ხმას როგორ იღებს ამ საშინელებათა შესახებ, როცა თვითონ ბევრად უარესობას სჩადის თავის ინდოეთშიო—ხალხს ტყავს აძრობს და შიმშილით სულს ხდისო, გაჰკივიან ხოლმე ჩვეულებრივ რუსის პატრიოტები. განსაკუთრებით „ნოვოე ვრემია“ მჭერმეტყველობდა ასეთ შემთხვევაში. დღეს კი მოულოდნელად სტვირინი სულ ახალ ჰანგებზე დამღერის:

«რუსეთში ის აზრია გავრცელებული, ვითომც ინგლისის ინდოეთში მფლობელობის მთელი აზრი ისი ყოფ, რომ ინდოეთის მცხოვრებნი შეუბრალებელ ექსპლოატაციის ხაგნად იყოლიონ დამპყრობლებმა. იმ უზარმაზარ კულტურულ მუშაობას კი, რომელსაც აწარმოებენ ინგლისელები ინდოსტანში, ყურადღებას არ აქცევენ

თუ ამ კულტურულ მუშაობას ვინმე ყურადღებას არ აქცევდა რუსეთში, ის

ფელეტონი

ეროვნული მოძრაობა რუსეთის ებრაელებს შორის

(«სერპის» მეორე კრებული)

I

ებრაელების ისტორია დაუსრულებელი ტრაგედიაა. ია და ვარდით ფენილი არც ერთ ხალხის ისტორია არა ყოფილა, მაგრამ ის, რაც პალესტინის უბედურ შვილებს ჰხვდათ წილად, აუწერელი და წარმოუდგენელია. მარტო ის ფაქტი რადა ღირს, რომ მთელი ხალხი ძალით მოსწყვიტეს სამშობლოს და მოაბნიეს დედამიწის ყოველ მხარეს! ორი ათას წელიწადზე მეტია, სამშობლოდან გაძევებული და ერთი მეორეს დაშორებული ებრაელები საშინელ დევნასა და წამებას განიცდიან ყველა იმ ხალხისაგან, რომელთა შორის უკუღმართმა ბედმა ისინი ჩაასახლა.

და სად არ არიან ებრაელები ჩასახლებულნი! ევროპასა და რუსეთში, ჰოლანდიასა და მაროკოში, ოსმალეთში, ევროპის ყველა სახელმწიფოში, ამერიკასა და აფრიკაში, ერთის სიტყვით, ყველა ხალხს შორის და ყველგან მათი ისტორია არის წამებისა და დევნის ისტორია. ებრაელების აწიოკება-დარბევა, კიშინიოვისა და ოდესისებური, ჩვეულებრივი მოვლენაა ებრაელებისათვის მას შემდეგ, რაც მიმობნეულან სხვა ხალხებ შორის.

უცხო ხალხებს შორის ცხოვრებამ და გამუდმებულმა დევნამ საგანგებო და განსაკუთრებულ პირობებში ჩააყენა ებრაელი: ერთის მხრივ იგი მუდამ იმის ცდაში უნდა ყოფილიყო, რომ შეგუებოდა და შეთვისებოდა სხვათა ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას, ენას, მეორეს მხრივ, ინსტინქტი თუ შეგნება აიძულებდა მას თავის ინდივიდუალობის შენარჩუნებ საც. ასიმილიცია და ეროვნების დაცვა, ცეცხლი და წყალი,—აი, რა უნდა მოერიგებინა ებრაელს ერთი მეორესთან და თან საშინელი დევნა და წამება აეტანა. ამიტომაც არის ნამდვილი ტრაგედია ებრაელის წარსულიცა და აწმყო ცხოვრებაც; ნამდვილი ტრაგედია, მაგრამ ებრაელებმა შეუძლებელი შესძლეს და ამ დაუსრულებელ ტრაგედიას გაუძლეს: მართალია, შეგუება-შეთვისების საჭიროებამ ებრაული ენა[*]) დაავიწყა ხალხს, ბევრი ახალი ზნე-ჩვეულება შესძინა, ჩანერგა მასში, მაგრამ ებრაელი ერი მაინც არსებობს და, ეფიმენკოსი არ იყოს, ერი უმტკიცესი: ებრაელებმა შეინახეს თავიანთი ხალხოსნობა, მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიაც დაჰკარგეს და სამშობლო ენაც თანდათან დაივიწყეს. მით უფრო საინტერესოა ყველასათვის, განსაკუთრებით ჩვენთვის, ებრაელების ცხოვრება, უფრო კი მათი ეროვნულ-პოლიტიკური მიმართულებანი.

თითქმის ორი მესამედი მთელ ებრაელებისა (ხუთ მილიონზე მეტი) რუსეთში ცხოვრობს. როგორც სხვაგან, აქაც მათი ცხოვრება მარტიროლოგიაა. მაგრამ ეს ყველასაგან კარგად ცნობილი ფაქტია და მეტი ლაპარაკი არ ღირს. როგორც სხვაგან, აქაც სცდილობდნენ ებრაელები ადგილობრივ პირობებთან და ხალხთან შეგუებას. მათი საუკეთესო წარმომადგენლები მხოლოდ იმას თხოულობდნენ, რომ ებრაელების გარუსება გაადვილებული ყოფილიყო: ასიმილიაცია ორ მხრივი აქტია, ჩვენ ძალიანაც რომ გვსურდეს სრული გარუსება, თქვენი კანონები გვიშლის ხელსაო, ეუბნებოდნენ ებრაელი ინტელიგენტები რუსებს მესამოცე წლებში და პირდაპირ აცხადებდნენ—„რუსის ხალხმა უნდა ჩაყლაპოს (ეროვნულად) რუსეთის ებრაელებიო, ებრაელებმა უნდა გაიძრონ ვითომდა ეროვნული კანიო“.

სამოცდაათიან წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა ებრაელებს შორის ასიმილიაციის ეს მოძრაობა. როგორც ვიცით, ამ ხანებში რუსეთში დაიწყო ძლიერი სარევოლიუციო მოძრაობა, რადგან ალექსანდრე II-ე და მისი მთავრობა გადაუდგნენ რეფორმების გზას და რეაქციონურ პოლიტიკას მიჰყვნენ ხელი. ამ სარევოლიუციო მოძრაობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო ებრაელების ინტელიგენციამაც. რუსებთან ერთად ებრაელებიც თავგანწირულად იბრძოდნენ რუსეთის ხალხის განთავისუფლებისათვის. მაგრამ ვინ იყო ეს ხალხი? რუსის „ნაროდნიკისათვის“ ხალხი მშრომელი გლეხობა იყო; პირველი რუსული სოციალიზმი, ეგრე ვსთქვათ, აგრარულ ხასიათისა იყო; მხოლოდ 80-იან წლებიდან ცოტათი ფაბრიკა-ქარხნის მუშებსაც მიაქციეს ყურადღება. ებრაელ რევოლიუციონერს სურვილი ჰქონდა თავის ხალხისთვისაც გაეწია სამსახური, იქაც ემუშავნა, იქაც შეეტანა სოციალიზმის სხივი. მაგრამ როგორ, როცა რუსეთის ებრაელებს შორის არც მშრომელი გლეხობა იყო, არც ფაბრიკა-ქარხნის მუშა? ებრაელები სრულიად განსხვავებულ წრეს წარმოადგენდნენ. რევოლიუციონურ ინტელიგენციის მსოფლმხედველობას არაფერი საერთო არა ჰქონდა რა ებრაულ სინამდვილესთან და მით უფრო იყო ეს ინტელიგენცია მოწადინებული ებრაელების სრულ ასიმილიაციას რუსებთან, იგი სრულიად უარყოფდა ეროვნულ მომენტს პოლიტიკო-სოციალურ ბრძოლაში და ამ გვარად ფაქტიურად სრულიად მოსწყდა და მოშორდა ებრაელ ხალხის ცხოვრებას.

თუ რევოლიუციონერები იყვნენ ასიმილიაციის მომხრე, ბურჟუაზია ხომ კიდევ უფრო იყო მოწადინებული მთელის ხალხის გადაგვარებას: გზას ნუ გვიკრავთ, საშუალება მოგვეცით რუსები გავხდეთო, ემუდარებოდნენ მთავრობას. ამასობაში სამოცდა ათიანი წლები მიიწურა, დაიწყო 80-იანი წლები და მთელი სამხრეთ რუსეთში დადგა ხანა ებრაელების აკლება-აწიოკებისა. აუწერელი საშინელებანი დატრიალდა, შემაძრწუნებელი უბედურება დაატყდა თავს რუსეთის ებრაელობას. ამ უბედურებამ დიდი გავლენა იქონია ხალხსა და ინტელიგენციაზე; საზარელმა სინამდვილემ ღრმად ჩააფიქრა ყველა და ნელ-ნელა რუსებისა და ებრაელების საზოგადოებრივი აზრი სხვა და სხვა კალაპოტში იწყებს დენას.

1897 წლამდე ებრაელი ინტელიგენციის ახალ მიმართულებას გარკვეული სახე არ მიუღია: აქა-იქ სცადეს ლიტერატურის შექმნა ებრაულ ენაზე (ჟარგონი); იყო განზრახვა ებრაელ პროლეტარიატის ცალკე ორგანიზაციისაც, მაგრამ ყოველ ასეთ ნაბიჯს გაუბედაობა ეტყობოდა, რადგან საქმის მეთაური ებრაელი სოციალისტები მუდამ იმის შიშში იყვნენ, ვაი თუ ამხანაგმა რუსებმა „სეპარატიზმი“ დაგვწამონო. ყოველ შემთხვევაში ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ძველის გზით სიარული შეუძლებელი იყო და ახალ გზის ძებნას შეუდგნენ.

ბურჟუაზიული წრეებიც ძლიერად შეარყია ებრაელ ხალხის თავზე დამტყდარმა საშინელებამ. მასშიაც გაიღვიძა ეროვნულმა გრძნობამ, ისიც შეუდგა ახალ გზის ძებნას.

1897 წელს გარკვეული სახე მიიღო როგორც ებრაელ რევოლიუციონერების ახალმა მიმართულებამ, ისე ბურჟუაზიისამაც. ამ წელს მოხდა პირველი კრება როგორც რევოლიუციონურ „ბუნდისა“, ისე ბურჟუაზიულ სიონისტებისა.

II

წინად იმას ამბობდნენ ებრაელი სოციალისტები, რომ ებრაელ პროლეტარიატს არ შეიძლება ჰქონდეს და არც უნდა ჰქონდეს რაიმე ეროვნული საქმე და მისი მოძრაობა სავსებით უნდა გაითქვიფოს სრულიად რუსეთის პროლეტარიატის მოძრაობაშიო. იმ ხანაში რუსულ და პოლონურ ენის შესწავლა იყო „შესავალი სოციალიზმის შესწავლისა“. **1895** წელს კი ებრაელი რევოლიუციონერი სწერს—„ებრაელ პროლეტარების მოძრაობა უნდა იყოს არა მარტო ინ-

*) ებრაელები უმთავრესად ესპანურსა და ჟარგონს (ებრაულ სიტყვა-ნარევ გერმანული) ლაპარაკობენ.

რუსის პატრიოტები და „ნოვოე ვრემია" იყო და საყვედურიც მხოლოდ იმათ ეკუთვნის. ამიტომაო, განაგრძობს გაზეთი, უსარგებლოდ არ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველი ინგლისელების მოქმედების ერთ მხარეს: ინდოეთში შიმშილობა ხშირია, ინგლისის მთავრობა ებრძვის ამ მოვლენას, მაგრამ არა მარტო იმითი, რომ დამშეულებს კვებავს, არამედ ისეთ ღონისძიებასაც ხმარობს, რომ თვით შიმშილობა მოსპოს. მაგალითად

„უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში ინგლისელებმა გაიყვანეს პენჯაბსა და სინდეთში სარწყავი არხები, რომელთა წყალობით 20 ათასი ოთხკუთხი ვერსტი ადგილი, წინად სრულიად უდაბური, ნაყოფიერ მიწად არის ქცეული და მილიონობით სულს კვებავს 35 მილიონი მანეთი დაჯდა ეს არხები, მაგრამ მარტო 1905—1906 წლის მოსავალი 40 მილიონ მანეთის ღირებულებისა იყო. ჩვენც უნდა მივბაძოთ, გვეუბნება „ნოვოე ვრემია", ასეთი კულტურული მუშაობა უნდა გავწიოთ, რომ თვით შიმშილობა მოისპოს. მაგრამ ერთი ავიწყდება პატრიოტულ გაზეთს—ინგლისში ასეთი კულტურული მუშაობა მხოლოდ იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ინგლისი თავისუფალი ქვეყანაა და ამ კულტურულ მუშაობას ვანდალები არ აფერხებენ. გარდა ამისა „ნოვოე ვრემია" სრულიად უყურადღებოდ სტოვებს იმ გარემოებას, რომ ინგლისი ეწევა ამდენ ხარჯსა და მუშაობას არა ინგლისელებისათვის, არამედ დაპყრობილ ხალხისათვის; არ აქცევს ყურადღებას, რადგან მას არ ესმის ასეთი პოლიტიკა გაბატონებულ ერისა. პატრიოტებისათვის დამორჩილებული ერები მხოლოდ ექსპლოატაციის ობიექტია და სხვა არაფერი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

Пр. А. С. Хахановъ. Очерки по грузинской культурѣ.*) (ნარკვევები ქართულის კულტურიდან).

თქვენ ამბობთ, საქართველოში მეცნიერება არ არის და ამიტომ იქ არც მეცნიერების კაცები არიანო! რა სათქმელია? აი, პროფესსორი ხახანოვი. მართალია, ის მოსკოვში სცხოვრობს, მაგრამ ქართველი მეცნიერია და ყველა იმისი ზრახვა და ფიქრი, როგორც ამბობენ, მუდამ საქართველოს ევლება თავს. ხომ გაგიგონიათ, რა სქელი წიგნები დაბეჭდა მან უკანასკნელ წლების განმავლობაში «ქართულ ლიტერატურის ისტორიის» სახელით. მართალია, ამ სქელ წიგნების საიდუმლოება ის გახლავთ, რომ პროფ. ხახანოვს რაც კი ქართული ასოებით დასტამბული ან, დაწერილი რამ უნახავს, ყველაფერი შიგ მოუქცევია, ე. ი. დაწვრილებით აუწერია და კეთილ-სინიდისიერად გადმოუღია მისი შინაარსი, იმის და მიუხედავად, რა არის საყურადღებო და რა არა, რასა აქვს ისტორიული ინტერესი და რას არა, რასა აქვს კავშირი ლიტერატურასთან და რას არა, მაგრამ .. სამაგიეროდ სქელი და მრავალტომიანი „საქართველოს ლიტერატურის ისტორია» იქმნა დაწერილი, რა თქმა უნდა, რუსულად და, ხომ მოგეხსენებათ, სისქე წიგნისა და მრავალტომიანობა «გამოკვლევის» აუცილებელი თანამყოფი თვისებებია მეცნიერობისა. დიახ, მართალია, მაგრამ არც ის გახლავთ ტყუილი, რომ ეს მეცნიერული წიგნები უქმად აწყვია წიგნების მაღაზიების თაროებზე და მკითხველ საზოგადოების გულისყურს არ იზიდავენ.

რატომ? ეხ მაგრე ადვილი გამოსაცნობი არ გახლავთ, განსაკუთრებით წიგნის ავტორებისთვის, რომელთაც ჩვეულებრივ იშვიათად შეუძლიანთ ხოლმე თავის ნაწარმოების წილხდომილ ბედის მიუდგომელი და მიუკერძოებელი ახსნა. ალბად, ბ-ნ ხახანოვს თავის «დიდი შრომის» გაუსავლობა წიგნების სისქისთვის დაუბრალებია და ამიტომ თავის ახალს შრომას, „საქართველოს კულტურის ნარკვევებს", სქელ ტომიან წიგნებად აღარა ჰბეჭდავს. პირიქით, პროფ. ხახანოვი ეხლა ლაკონიურად გარჯილა და ლაკონიურად მოუთავსებია 23 გვერდიან ბროშურაში ქართული კულტურის ნარკვევები.

მოგეხსენებათ საქართველო ძველი ქვეყანაა. იმ უძველეს დროს რომ თუნდ თავიც დავანებოთ, რომლის შესახებაც დაჭეშმარიტებული ცნობები არ მოიპოვება ამ ქვეყნის ისტორია, სულ ცოტა, თხუთმეტი საუკუნის სივრცეზე მაინც არის გაჭიმული. თხუთმეტი საუკუნის ისტორიული ცხოვრება და ოცდასამ გვერდიანი ნარკვევი კულტურისა! თითო საუკუნის ჩატევა ბროშურის ერთსა და ნახევარს გვერდზე—ლაკონიზმიც ასეთი უნდა! ნუ დაივიწყებთ, ეს „ნარკვევი" მეცნიერის, პატენტიან მეცნიერის ნაწარმოებია!

ამ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნის შესავალად, რაც ვთქვით, ისიც სრულიად საკმაოა. ვნახოთ ეხლა, რაცა ხელისხელ საგოგმანებელ აზრებს და რა უტყუარ ცნობებს გვასწავლის 23 გვერდიან მეცნიერულს «შრომით» მეცნიერი ბ-ნი ხახანოვი.

ქართველ ხალხის ევროპეიზაცია რუსეთთან შეერთების შემდეგ დაიწყოო, ბრძანებს ბ-ნი ხახანოვი, მაგრამ იგი «ევროპეიზაცია განისაზღვრება ევროპიულ ენების ტანისამოსის, ლიტერატურის და სოციალ-ეკონომიურ შეხედულებათა შეთვისებითაო». ასე ლაკონიურად აქვს აგებული ანდერძი მთელს ერს ბ-ნ ხახანოვის მიერ. ენა და ტანისამოსი, ლიტერატურა და სოციალ-ეკონომიური აზრები გადმოგვიღია ევროპიდან, დანარჩენში კი ხალხს ჯერ ისევ საშუალო საუკუნოებში უცხოვრია. გარეგნობა და აზრები შეცვლილა, თვით ცხოვრება კი ძველებური და აზიური დარჩენილა. ვისაც ცოტა მაინც უფიქრნია საქართველოს წარსულსა და აწმყოზე, იმან აუცილებლად იცის, რომ ჩვენი ქვეყანა ფეოდალიზმის ტიპიური ქვეყანა იყო, იცის, რომ არც ერთს ევროპიულს ქვეყანაში თითქმის არა ყოფილა ფეოდალური ქსელი გაბმული ისე მწყობრად და სისტემატიურად ცხოვრების ყველა სფერაში, როგორც პაწია საქართველოში; იცის ისიც, რომ დღეს ფეოდალიზმის მხოლოდ ნაშთები და არსებობს. ბ-ნი ხახანოვი კი გვასწავლის, თვით ცხოვრება არ შეცვლილა. ევროპიულ ცივილიზაციიდან შეითვისეს მხოლოდ ენა, ტანისამოსი, ლიტერატურა და სოციალ-ეკონომიური შეხედულებანიო. უკაცრაოდ, მაგრამ ვერაფრის გულისთვის ვერ დაეთანხმებით. სწორედ ენა არ შეცვლილა; რა ენაზედაც ვლაპარაკობდით მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, იმ ენაზე ვლაპარაკობთ ეხლაც; ხალხის ენა —ისევ ქართული ენაა, მომავალშიაც იგივე ქართული იქნება. ხოლო თუ ბ-ნ ხახანოვს მარტო იმისი თქმა უნდა, რომ ერის არისტოკრატიამ სამშობლო ენა დაივიწყა და უცხო ენაზე ლაპარაკობს, რომ იმის ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა სამშობლო ენა რუსულ ენაზე გასცვალა—ეს პათოლოგიური მოვლენაა; იგი მოვლენა ხალხის კულტურის დამახასიათებელი არ არის. იგივე უნდა ითქვას ტანისამოსის და ლიტერატურის შესახებ, განსაკუთრებით ლიტერატურისა. მხოლოდ იმიტომ, რომ შეიცვალა თვით ძველი წესი ფეოდალურის ცხოვრებისა და დამყარდა ან მყარდება ახალი მოქალაქობრივი რეჟიმი მხოლოდ ამიტომ იცვლება სალიტერატურო მოტივებიც. ბ-ნი ხახანოვი კი მეცნიერულად ბრძანებს, ცხოვრება არ შეცვლილა, მხოლოდ ლიტერატურა და სოციალ-ეკონომიური შეხედულებანი შეითვისეს ევროპიულ ცივილიზაციიდანაო.

დავანებოთ ამას თავი. ვინ არ იცის, რომ საქართველოში, რუსეთთან შეერთებამდე, სიცვარ დიდ როლს თამაშობდა სამღვდელოება და სარწმუნოება? ვინ არ იცის, რომ ამ მხრივ დიდი განსხვავებაა ეხლანდელს და ძველს საქართველოს შორის? ჩვენ დროს ახასიათებს სრული სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმი და სამღვდელოების გავლენის მოსპობა ხალხის ცხოვრებაზე, ბ-ნი ხახანოვი კი გვეუბნება ცხოვრება არ შეცვლილაო. დაინგრა ფეოდალიზმი და დაიმალა კლერიკალიზმი—მეცნიერი ისტორიკოსი კი გვეუბნება, ცხოვრება არ შეცვლილაო. კულტურის ნარკვევებიც ასეთი უნდა!

მაგრამ აი მეოცე საუკუნის დასაწყისმა. პლეხანოვების და ლენინების ბროშიურებზე აღზრდილმა ყმაწვილ კაცობამ დაიჭირა შუბლზე — სოციალდემოკრატები გართო და დაიწყო სოციალდემოკრატიული აგიტაცია. ბ-ნი ხახანოვი გვასწავლის, ამ აგიტაციამ «გააღვიძა აზიურ და საშუალო საუკუნოების უკუნეთში ნახევრად ჩაფლული ქართველი ხალხი სასიცოცხლო საჭიროებათა ახალ გამმისთვისაო». აგიტაციას ახალ საჭიროებათა გამმისთვის დაუწაფებია ხალხი! ჩვენ კი გვეგონა აქამდე, რომ აგიტაციას საუკეთესო შემთხვევაში შეუძლიან მხოლოდ აფრთოვანების და მოქმედების გამოწვევა და არა ახალ საჭიროებათა გამმისთვის ხალხის დაწაფება. აი, რა უმეცარნი ვყოფილვართ! პროფეს. ხახანოვი ამასთან ერთად გვასწავლის: «სოციალდემოკრატების მოძღვრების ნაკადულმა შექმნა ახალი მოტივი ხალხის დასანაწილებლად ორ შეურიგებელ ცემენტად: თავადაზნაურულ წოდებად და სახოფლო მეურნეების, გლეხების და შემძლებულ პროლეტარების დაბალ წრედო». როგორ მოხდა, რომ სოციალდემოკრატიამ „შეუძლებელი პროლეტარები, გლეხები და სოფლის მეურნეები» ერთ კლასსად შეადუღა, ხოლო შეუძლებელი პროლეტარები კი თვალიდან დაიკარგა—ეს საიდუმლოებაა, მაგრამ ასე სწერს მეცნიერი. იგივე მეცნიერი გვარწმუნებს, სოციალდემოკრატების გვერდზე «დგანან რომანტიკოსები, ნაციონალისტები, რომელნიც სცდილობენ დაიცვან ძველი პატრიარქალური ურთიერთობანი და ადიდებენ ძველ ცხოვრების წყობილებას, ტრადიციულ ქართულ წესებსაო».

აი, ასე იწერება ქართულ კულტურის ისტორია ქართველ მეცნიერებისაგან! მაშასადამე, ჩვენში მეოცე საუკუნის დასაწყისში ყოფილა სულ ორი საზოგადოებრივი მიმართულება—ერთი პროგრესიული (სოციალდემოკრატია), ხოლო მეორე —რეაქციონური (ნაციონალისტების, რომელნიც ძველ რეჟიმს ადიდებენ).

რა არის ეს, ბ-ნო ხახანოვო, ქართული კულტურის ნარკვევი? არა! ეს კულტურა კი არა, ღვარძლიანი ჰორიკანობაა. არ გვეგონა, რომ ქართველი მეცნიერები ასეთ ჰორიკანობას იკადრებდნენ, მაგრამ სჩანს, ესეც შესაძლებელი ყოფილა.

(დასასრული იქნება)

*) ეს წიგნაკი გამოცემულია და ხელისმომწერთათვის პრემიად დარიგებული „ზაკავკაზიეს"-ს მიერ.

პროვინციის ცხოვრება

ქ. ოზურგეთი. აქ არსდება დრამატიული საზოგადოება; ფიქრობენ წარმოდგენები მართონ და შემოსავალი გადასდონ თეატრის ასაშენებლად. დიდი ხანია ოცნებობენ აქ თეატრის აშენებაზე. მოხდა ისიც, რომ საძირკველი ჩაჰყარეს, აკურთხეს, სიტყვები წარმოსთქვეს თეატრის დანიშნულებაზე, მაგრამ სიტყვები სიტყვებათ დარჩა და საძირკველი კი ჩალშა. ეხლა აქაურმა ინტელიგენციამ უფრო სერიოზულად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. ბევრს სირცხვილადაც კი მიაჩნია, რომ დღემდე გურიაში თეატრი არ არის. ამისი მიზეზი აქაურ ქალაქის გამგეობისა და საზოგადოების გულ გრილობაა. მე დარწმუნებული ვარ, ვინმე მხნე კაცი რომ გამოჩენილიყო, აქამდე შესძლებდა თეატრის აგებას. იმედია, ახალი მეთაურები მაინც დააგვირგვინებენ საქმეს. უკვე აირჩიეს კომიტეტი და კომისია; წესდებაც დაიბარეს სხვა ქალაქებიდან. კომისიამ უნდა შეიმუშაოს წესდება და მომავალ კრებას წარუდგინოს.

ორიოდე სიტყვა აქაურ წიგნ-საცავის და სამკითხველოს შესახებ. რამდენიმე წელიწადია აქ არსებობს წიგნ-საცავი და სამკითხველო, მაგრამ შიგ გარდა ათიოდე წიგნისა არაფერია. გაზეთებზე სულ ნურაფერს იტყვით; იმ ათიოდე წიგნშიაც რომელიმე რომ დაგჭირდეს არ იცი ვის მიმართო. ქალაქს რომ ჰკითხო ვითომ ჟამაგირიანი კაცი ჰყავს დაქირავებული, მაგრამ იქ რომ მიხვალ, არც კაცი სჩანს და სხვა, გარდა ერთის შკაფისა. დროა საზოგადოებამ ამ საქმესაც მიჰხედოს. ეს არც ისე ძნელია თუ ბევრს ვერ შევძლებთ, ქართულ გაზეთების გამოწერას მაინც [illegible] ქუჩები გულად [illegible] სოფლებში აქაურ ქუჩებს [illegible] თეს გზები. არის ადგილები სადაც კაცს გულა სუფ არ შეუძლიან რადგან ნახევარ არშინზე ტალახია. ფეხს ვერ გადადგამ, რომ მუხლამდის არ ამოისვარო. ფარნებზე აღარას ვიტყვით.

გოდია ან.

ფოთი. ამ ბოლო დროს აქაც გახშირდა დატუსაღება. 16 თებერვალს კონსტანტინეს სიუბეში, დიალინის ქუჩაზე, შეიპყრეს ემაწვილი. როგორც ამბობენ მას ბევრ რამეს აბრალებენ 6 თებერვალს ახამში განთქმულმა სტრაჟნიკმა კილასონიამ დაახმარა გრ. ჩოხი. იგი ეხლა სენაკის მაზრის ციხეში ზის. როდესაც რეაქცია გაბატონდა ჩოხია საზღვარ-გარედ გაემგზავრა, სადაც ერთ წელიწადს დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში კაცმა, რომ ის ადმინისტრაციამ განთავისუფლდა, დროებით დაბრუნდა სამშობლოში. აზრად ჰქონდა ცოტა ოდენი ფული შეეგროვებინა და ისევ გამგზავრებული საზღვარ-გარეთ ფრანგული ენის კარგად შესასწავლად. მაგრამ არ დასცალდა.

ამბობენ, სხვებსაც მოელით დატუსაღება.

მეფარი.

ქ. თელავი. იშვიათი ოჯახი იქნება, ავადმყოფი არ იწვეს. ინფლუენცია საშინლად გავრცელებული, რომელსაც ხშირად ანთებაც დაერთვის ხოლმე. შეიძლება ეს ცვლილებად ტაროსის ბრალიც იყოს. ხანგრძლივი მკაცრის ზამთრის შემდეგ უცბად დათბა, თოვლი ბარში ყველგან აიღო და მზიანი დღეები დაიჭირა, რომელიც ხშირად ავდრად იცვლება. ბავშვებში მთავრული — წითელი მეტად მოედო მთელ თელავს. სახლი არ იქნება, ბავშვები არ იყვნენ ავად ან არ მოესხნით. საბედნიეროდ, ძრიელ ადვილად ხდებიან, ექიმის ჩიტვებით თითქმის ჯერ არავის გასძნელებია.

მართალია, წელს მენინგიტს ისეთი ეპიდემიური ხასიათი არ მიუღია აქ და სოფლებში, ნამეტნავად გაღმა მხარეს, როგორც შარშან, მაგრამ მაინც ყველგან იყო რამდენიმე შემთხვევა როგორც იქით, ისე აქეთ და თელავში. თუმცა ეხლა მიში აღარავისაა, როცა გაზაფხულდა და სითბოში ეს სენი ძალას ჰკარგავს. ეს-კი ვერაფერი, მენინგიტმა მკვიდრად დაიბუდა თელავის მაზრის სოფლებში და დრო-გამოშვებით— სიცივეებში თავს წამოჰყოფს ხოლმე და მის სრულიად მოსასპობად არავინ არასა ჰფიქრობს.

სოფლებიდანაც ვერ გვესმის კარგი ამბავი—ხალხი ზარალობს. ეს არც საკვირველია, როცა პატარა მოსავალი ან კაციება ადვილად ასადმებს წვრილ სოფლებს ჩვენ გლეხს, რომელიც ექიმობას და ჭიგაქას სრულებით მოკლებულია.

ტერნაციონალური, არამედ ნაციონალურიც" აო. ორის წლის შემდეგ დაარსდა წმინდა ებრაული ორგანიზაცია პროლეტარიატისა—„ბუნდი".

ბუნდელების პირველ კონგრესზე ეროვნული საკითხი არ იყო წამოყენებული ცალკე ორგანიზაციის დაარსების საბუთად: ებრაელ პროლეტარიატს სპეციალური ინტერესი აქვს, რადგან იგი მოკლებულია იმ სამოქალაქო უფლებებსაც, რომელიც რუსებს აქვთ; გარდა ამისა საჭიროა ლიტერატურის შექმნა ებრაულ ენაზე და მხოლოდ ამიტომ ვაარსებთ ცალკე ორგანიზაციასაო.

1898 წელს ბუნდი შევიდა რ. ს. დ. მ. პარტიაში, როგორც ავტონომიური ორგანიზაცია: ებრაელ პროლეტარიატის საგანგებო ინტერესების დაცვა ებრაულ ორგანიზაციის საქმეა, სრულიად რუსეთის პროლეტარიატის საქმეში ბუნდი ემორჩილება ს. დ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. აი რა პირობებით შევიდა რ. ს. დ. პარტიაში. ამიტომაც ბუნდს ეროვნული პროგრამა არც კი ჰქონდა: იგი თხოულობდა ებრაელებისათვის მხოლოდ სამოქალაქო თანასწორობას და არა ეროვნულს.

ასეთი გაუბედავი იყო პირველი ნაბიჯი ეროვნულ სოციალისტურ ორგანიზაციისა ეროვნულ საკითხში. მაგრამ რაც უფრო ეცნობოდნენ ბუნდელები სინამდვილეს, რაც უფრო უახლოვდებოდნენ ებრაულ მასსას, უფრო და უფრო დაინტერესდნენ ეროვნულის საკითხით.

1901 წელს მოხდა მეოთხე კრება ბუნდელებისა. ამ კრებაზე ეროვნულ საკითხს დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული. მთელი წყება ორატორებისა ამტკიცებდა, რომ რ. ს.-დემოკრატიულ პროგრამის მოკლე ფორმულა „ეროვნულ თვით-გამორკვევაზე" სრულიად არ არის საკმარისი, რომ ეროვნულ პრობლემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუსეთისთანა მრავალ-ერიან სახელმწიფოში, რომ ბუნდმა უთუოდ უნდა შეიმუშაოს თავისი ეროვნული პროგრამაო და სხვა. მაგრამ ამასთანავე ბევრს ლაპარაკობდნენ იმის შესახებაც, რომ დიდი სიფრთხილე გვმართებს, რადგან ხალხი ნაციონალიზმით არის გატაცებულიო. ხანგრძლივ კამათის შემდეგ კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

„კრება აღიარებს, რომ, ს.-დემოკრატიულ პროგრამის აზრით, შეუწყნარებელია ყოველ გვარი დაჩაგვრა: კლასისა კლასის მიერ, მოქალაქეთა მთავრობის მიერ, ერისა ერის მიერ, ენისა ენის მიერ. კრება აღიარებს, რომ რუსეთის მსგავსი სახელმწიფო, რომელიც სხვა და სხვა ხალხისაგან შესდგება, მომავალში უნდა გადაიქცეს ერების ფედერაციად სრულის ეროვნულის ავტონომიით თვითეულისათვის დამოუკიდებლად ტერიტორიისა.

კრება აღიარებს, რომ ებრაელებიც ერს შეადგენენ. მაგრამ რადგან ეხლანდელ პირობებში ეროვნულ ავტონომიის მოთხოვნა ებრაელებისათვის უდროულია, კრება ეხლანდელს დროში საკმარისად სთვლის იბრძოლოს ებრაელების წინააღმდეგ მიმართულ საგანგებო კანონების მოსპობისათვის, აღნიშნოს და პროტესტი გამოაცხადოს ებრაელ ერის ყოველ დაჩაგვრის გამო; მაგრამ თან ბუნდი იმას უნდა სცდილობდეს, რომ არ გააზვიადოს ეროვნული გრძნობა, რომელსაც შეუძლია კლასობრივ შეგნების დაბნელება და შოვინიზმის შექმნა".

ბუნდის პირველ კრების შეხედულებასა და ამ რეზოლიუციის აზრს შუა დიდი მანძილია: იქ არც კი შეხებიან ეროვნულ საკითხს, როგორც აგეთს—სამოქალაქო თანასწორობა გვინდა და ებრაულ ენაზე წიგნების გამოცემა სოციალისტურ პროპაგანდის გასაძლიერებლადო; რეზოლიუციაში კი ეროვნული დაჩაგვრა ამოუდგა გვერდით ეკონომიურსა და პოლიტიკურს, რუსეთი წარმოდგენილია მომავალში როგორც ავტონომიურ ერების ფედერაცია; ებრაელი ხალხი ერად არის ცნობილი; მაშასადამე მათაც აქვთ უფლება ეროვნულ ავტონომიის მოთხოვნისა. ერთის სიტყვით ბუნდმა სულ ოთხის წლის განმავლობაში დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ ეროვნულ პრობლემის გამორკვევის საქმეში... მაგრამ ძველი ტრადიცია რუს სოციალისტებისა ჯერ კიდევ არ იყო სავსებით აღმოფხვრილი ბუნდელებშიაც და ამიტომ მოხდა, რომ პრინციპად აღიარებული ეროვნული თავისუფლება საპროგრამო მოთხოვნად ვერ გახადეს—ჯერ უდროულია ასეთ მოთხოვნის წარმოდგენა, მით უფრო რომ ვაი თუ ეროვნულ გრძნობის გაღვიძებამ ებრაელ პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება დააბნელოსო.

ბუნდელების რეზოლიუციის ასეთი ორპირობა მით უფრო ადვილი ასახსნელია, რომ რ. ს. დ. მ. პარტია შეურიგებელ წინააღმდეგობას უწევდა ებრაელების ორგანიზაციას, არავითარ ღონისძიებას არ ზოგავდა ამ ორგანიზაციის დასამცირებლადა და სახელის გასატეხად. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბუნდი იძულებული გახდა გამოსულიყო პარტიიდან. ბუნდი დიდხანს არ დარჩენილა პარტიის გარეშე, ისევ დაბრუნდა, მაგრამ ეს ფაქტი მაინც მეტად დამახასიათებელია რ. ს. დ. პარტიის პოზიციისათვის ეროვნულ პრობლემის საქმეში.

მოკლე ხანში ბუნდმა ტრადიციასაც თავი დაახწია და რ. ს. დ. პარტიის ცენტრალიზმისა და გამარუსებელ ტენდენციის კედელიც შეანგრია. 1905 წელს, როცა რუსეთის რევოლიუცია გაძლიერებული იყო, გაიმართა მეექვსე კრება ბუნდისა და შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს:

„1. სრული სამოქალაქო და პოლიტიკური თანასწორობა ებრაელებისა.

2. კანონით უზრუნველყოფა (ებრაელებისათვის) სამშობლო ენის ხმარებისა სასამართლოსა, სახელმწიფო დაწესებულებებსა და ადგილობრივ და საოლქო თვითმართველობის ორგანოებში.

3. ეროვნულ-კულტურული ავტონომია: გამოყოფა სახელმწიფოსა და ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოების უწყებიდან იმ ფუნქციებისა, რომელთაც კავშირი აქვთ კულტურასთან (სახალხო განათლება და სხვა) და გადაცემა ამ ფუნქციებისა ერის ადგილობრივ და ცენტრალურ დაწესებულებებზე, რომელთაც ირჩევს ერის საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორის და ფარულის კენჭის ყრით".

ეროვნულ ავტონომიის მოთხოვნის უდროულობა სულ სამიოდე წელიწადი გაგრძელდა. ასეთ მოკლე ხანში ბუნდი იძულებული გახდა ძირიანად შეეცვალა თავისი შეხედულება და ეროვნულ ავტონომიის მოთხოვნა შეეტანა პროგრამაში. ეს კიდევ ცოტაა: ამ ახალ რეზოლიუციის მთავარ მოტივად მოყვანილია სწორედ ის მოსაზრება, რომ „ეროვნული ჩაგვრა, რა სახისაც უნდა იყოს იგი, მეტისმეტად მავნებელია მთელი პროლეტარიატის განმთავისუფლებელ ბრძოლისათვის, რადგან იგი აბნელებს მის კლასობრივ თვითშეგნებას; დაჩაგრულ ერის პროლეტარიატს ხომ ეს ჩაგვრა აწვება მთელის თავის სიმძიმით—აფერხებს მის ძალთა განვითარებას ყოველ სფერაში და ამახინჯებს მის კლასობრივ ბრძოლას".

მეოთხე კრების რეზოლიუციაში, სხვათა შორის ის აზრი იყო გატარებული, რომ დიდის სიფრთხილით უნდა მოვიქცეთ, ეროვნული გრძნობა არ გავაღვიოთ და ამით კლასობრივი შეგნება არ დავაბნელოთო, მეექვსე კრების რეზოლიუცია კი გადაჭრით ამბობს—ეროვნული დაჩაგვრა, რომ აფერხებს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლის, და არა ბრძოლა ამ დაჩაგვრის წინააღმდეგო.

ამით ბოლო მოეღო ძველ ტრადიციას, პირველ რუს რევოლიუციონერებისაგან ნაანდერძევს, შეინგრა ერთი კედელი რ. ს. დ. პარტიის ცენტრალისტურ და რუსიფიკატორულ ციხისა, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავდნენ და იცავენ პარტიის ც. კ. და ქართველი ამხანაგები. ამ მხრივ ბუნდს დიდი სამსახური მიუძღვის რუსეთის ეროვნულ სოციალისტურ პარტიების წინაშე. დაჩაგრულ ერის სოციალისტური მოძრაობა უნდა იყოს არა მარტო ინტერნაციონალური, არამედ ნაციონალურიცაო, იმ თავითვე ამტკიცებდნენ ეროვნული სოციალისტური პარტიები და ასეთი შეხედულება ბუნდმა შეიტანა სრულიად რუსეთის ს. დ. პარტიაშიც, რომელიც ადრე თუ გვიან იძულებული გახდება სავსებით მიიღოს ეს აზრი.

(შემდეგი იქნება)

არა თუ სოფელი, ამ მხრივ ოლქიც გაჭირვებას განიცდის. მთელ ოლქში ერთად-ერთი სამაზრო ექიმი ვერ ასწრებს ავადმყოფების რჩევა-დარიგების მიცემას და ამ ორი კვირის წინად ესეც რომ ავად გახდა, ჩვენი დედა ქალაქი მაჩია სოფელს დაემსგავსა, ისე დარჩა უექიმოდ.

ავადმყოფობამ მეტად ზედ-გავლენა იქონია თურმე სამარხ კასებზე. წვრილი სამკვლი ფულის მეტანას ვერ ასდიან, ნამეტნავად ბებრების კასაში, ასეთი მოვლენა, ე. ი. წევრთა დაკლება, ფინანსიური მხრივ ძალიან ხელსაყრელი ყოფილა კასების მწარმოებელთათვის...

მთავრულის გარდა აგრეთვე შესაძლებელია უცხოელობის ნაადგზელიც გახდეს ავადმყოფობა. რაკი ეს დრო მთავარს, ზორბელ უსაჭიროეს სანოვაგის შოვნა ძნელდება თვითეულ ოჯახში. თუ იშოვება რამე, იმასაც დაწესებულ ნიხრზე არა ჰყიდიან და მცხოვრებთ ერთი ორად ჰყიდდა უხდებათ. ამასთან ხშირად ასეთ ყვარგის სანოვაგეს ასაღებენ ხოლმე სოფლელებზე და ეს უკანასკნელნიც სიიაფის გულისთვის ძალა უნებურად ყიდულობენ. რა თქმა ეს ავადმყოფობის ზედ-გავლენას იქონიებს იმათ ჯანმთელობაზე.

30 წარსულ თვეს ერთი საზიზღარი ამბავი მოხდა. მაწანწალებზე ერთ გასათხოვარ ქალს შეადამოსას შეუცვივდნენ სახლში ვიღაც საზიზღარი ბოროტ-განმრახველნი მის მოსატაცებლად. თუმცა ძალიან გასძალიანებოდა იგი თავის ძმით, მაგრამ მაინც სახლიდან გაიტაცეთ. ქალის ძმას რომ ვერაფერი გაეწყო შოდიციაში გაქცეულიყო შესატყობინებლად. მაშინვე გაეგზავნათ სტრაჟნიკები და ბაღში ეპოვნათ. ორი კაზაკი იქვე დაეპატიმრებინათ, მხოლოდ მესამეს მოესწრო გაქცევა. საბრალო ქალს წინააღმდეგობა გაეწია, რის გამოც დაეჭრათ თავში და ეცემათ კიდეც. დ—ლი.

უცხოეთის ქრონიკა

—*—

თეირანი. ორი კაცი დააპატიმრეს ექვით, ვითომ მონაწილეობას იღებდნენ შაჰის მოკვლის განზრახვაშიო. ბეჟერუს-სულთანე, რომელმაც სასტიკი შენიშვნა მიიღო შაჰისგან, მისის ხელმძღვანელობით ენერგიულად იძიებს შაჰის მოკვლის განზრახვის საქმეს.

17 თებერვალს დილით 9 საათზე ერთს მიყრუებულ პატარა ქუჩაში ყუმბარა ისროლეს, მოკლულ იქმნა მებაღე და მუშა. დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს.

ურმია. ოსმალეთის კომისიამ მიატოვა ურმია და ქალ, სარაიში, კოტურის ოლქში, გაემართა. ურმიისა და სალმასის გზაზე ქურთებმა ცარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი.

იმამ-კული-მირზა გაჩერდა სოუჯ-ბულახს იქით, ქალაქში არ შევიდა, ოსმალოს ჯართან შეტაკებას მოერიდა. ოსმალოს ჯარი სოუჯ-ბულახში ურმების სიცოტავის გამო დარჩა.

ბუენოს-აირესი. 15 თებერვალს არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტის ალკორტის მოკვლა განიზრახეს: უცნობმა პირმა ბომბა ესროლა პრეზიდენტს, როცა ის ეტლიდან გამოდიოდა თავის სადგომთან. ბომბა არ გასქდა. ბოროტგანმზრახველი გაიქცა, პრეზიდენტის ადიუტანტი მოეწია და პოლიციელებმა დაატუსაღეს. დაიჭირეს აგრეთვე სამი სხვა საეჭვო პირიც.

ლისაბონი. პორტუგალიის ოფიციალურ გაზეთში დაიბეჭდა სამი ბძანება: პირველით დანიშნულია პარლამენტის არჩევანი 23 მარტს და მოწვევა 16 აპრილს. მეორე ბძანებით, სახელმწიფო საბჭოს დადგენილების თანახმად, გაუქმებულია წინანდელი ბძანება მეფის ჯამაგირის მომატებისა და მეფის ოჯახის მიერ ხაზინიდან ავანსების მიღების შესახებ. მესამე ბძანებით დადგენილია დაწვრილებითი წესები დეპუტატთა პალატის არჩევნისათვის და გაუქმებულია პერების პალატის რეფორმა.

ლონდონი. ინგლისის დეპუტატთა პალატამ მეორედ წაკითხვის შემდეგ მიიღო კანონპროექტი ქალთა პოლიტიკურ საარჩევნო უფლების შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრმა გლადსტონმა, რომელიც პირადად ამ რეფორმის მომხრეთ ეკუთვნის, განაცხადა მაინც, რომ მთავრობა ამ კანონპროექტის საქმეში ნეიტრალურად მოიქცევაო; ეხლანდელ სესიის დროს მაინც ყოველ შემთხვევაში კანონად ვერ იქცევაო.

ბერლინი. შინაგან საქმეთა სამინისტროს განხილვის დროს, პრუსიის ლანდტაგში კამათი გაიმართა რუს რევოლიუციონერების საქმეზე. კონსერვატორმა შულცემ სთქვა: ყოველი გულჩვილობა უარვყოთ და ისე მოვაწყოთ საქმე, რომ გერმანია შვეიცარიასავით უცხოელ დამნაშავეთათვის თავშესაფარად არ გახდეს. შინაგან საქმეთა მინისტრმა უპასუხა: ცნობები რუს-რევოლიუციონერთა დატუსაღების შესახებ სწორეა, გაიხსნა რანკ-შტრასეზე იარაღის საწყობის აღმოჩენა და სინანული გამოსთქვა, რომ გერმანიის აწინდელმა კანონების ნაკლულევანებამ დააბრკოლა რევოლიუციონერების სისხლის სამართალში მიცემა და ასე დაამთავრა თავისი პასუხი: გარწმუნებთ, რომ ჩვენ ყოველ ღონისძიებას ვხმარობთ რუს-რევოლიუციონერების კვალის საპოვნელად. საიდუმლო პოლიცია მარჯვედ მოიქცა და ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია გარედან შემოტანილ რევოლიუციონურ მოძრაობასაო.

ვაშინგტონი. შეერთებულ შტატების წარმომადგენელთა პალატის კომისიის სხდომაზე ეადასწყვიტეს, წინადადება მიეცეს შტატების მთავრობას, ააშენოს 2 ფოლადის მცურავი დოკი სამხედრო გემებისათვის, 20 ათას ტონის სივრცისა, გამართოს ფლოტის სადგური მარგალიტის ბუხტაში, გონოლულუს ახლო, სანდვიჩის კუნძულებზე.

ტოკიო. გაზ. „ასაჰი-შიმბუნ“-ის თაოსნობით, 50 კომერსანტი და ფინანსისტი მიდის რუსეთს. რუსეთ-იაპონიის ასოციაციის მდივანი ტაკატა წავიდა ციმბირში ახალ წევრების საშოვნელად.

ბრიგი. (შვეიცარია). 16 თებერვალს ჰეპენშტეინში უზარმაზარმა ზვავმა დაანგრია ერთი სასტუმრო. მოკლულ იქმნა სასტუმროში მყოფი 13 კაცი, მათ შორის 1 ექიმი და 2 ინჟინერი; 7 კაცი დაიჭრა, მათ შორის 2 მძიმედ.

ლარენდო (ტეხასი). როზიტას მაღნებში აფეთქება მოხდა. დაიღუპა 90 კაცამდე. („პ. დ. ს.“).

რუსეთი

✦ **რევოლიუციონერების სიკვდილით დასჯა.** პეტერბურგის სამხედრო-საოლქო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა მოქალაქე ლევ სინეგუბს, გლებს ალექსანდრე სმირნოვს, მეფის სასახლეში მოსამსახურის შვილს სერგეი ბარანოვს, რომელიც თავის თავს იტალიის ქვეშევრდომის მარიო კალვინოს სახელს უწოდებს და ერთს ქალს, რომელიც თავის თავს კაზანსკაიას უწოდებს. ამ პირებს ჰბრალდებოდათ დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და იუსტიციის მინისტრის შჩეგლოვიტოვის მოკვლის განზრახვა, ხოლო სტურესა, სმირნოვსა და კაზანსკაიას აგრეთვე იარაღით წინააღმდეგობა პოლიციისა. ეს განაჩენი ყველა ამ პირთა შესახებ უკვე სისრულეში მოყვანილ იქმნა 17 თებერვალს.

✦ **განაჩენი რკინის გზის კავშირის საქმეზე.** მოსკოვის სამოსამართლო პალატამ სრულიად რუსეთის რკინის გზის კავშირის საქმეზე გადაუწყვიტა ციხეში დაპატიმრება ერთს წელიწად ნახევრის ვადით, სამს—ერთის წლის ვადით, ხოლო ორი გაამართლა.

✦ **განაჩენი ს.-დ. სამხედრო ორგანიზაციის საქმეზე.** მოსკოვის სამოსამართლო პალატამ ამ საქმეზე ორს ერთის წლით ციხე გადაუწყვიტა, ორი გაამართლა.

✦ **მცარცველების შეპყრობა.** მინსკში ვოკზალზე შეიპყრეს 40 კაცი, რომელნიც თავიანთ თავს მაქსიმალისტებს უწოდებდნენ და ვიღაცის გაცარცვის განზრახვა ჰქონდათ.

✦ **დაცემა იჯარადარზე.** შეიარაღებული კაცები დაეცნენ ხუტორ დუბოვის, ხერსონის გუბერნიაში. იჯარადარი და 7 მოსამსახურე მოჰკლეს, 4 კაცი დასჭრეს.

✦ **ქარბუქი რუსეთში.** კიევიდან იუწყებიან: ქარბუქი ცოტა ხანს ჩადგა, მაგრამ 17 თებერვალს ხელ-ახლად ასტყდა. სამხრეთისა და მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკინის გზებზე დიდი ნამქრებია მიყრილი. რკინის გზებზე მომეტებულ ნაწილად სრულიად შეჩერებულია მატარებლების მოძრაობა, შეჩერებულია აგრეთვე საქონლის მიღება და ბილეთების გაცემა.

ხარკოვიდან იუწყებიან: სამხრეთის რკინის გზებზე ქარბუქი მძვინვარებს. თოვლი საჟენზე მეტი სიმაღლისა დევს. სადგურებზე გავლა შეუძლებელია. ბუქი ეკატერინოსლავის გზებიდან დასავლეთისაკენ მიდის.

სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზების უფროსი იუწყება: 15 თებერვალს ამ რკინის გზებზე მოძრაობა არ იყო ჯერ აღდგენილი, რადგან გზების 18 ნაწილზე თოვლის ზვინები იწვა.

16 თებერვალს ძლივს-ძლივობით ამ გზების 5 ნაწილი გაუწმინდიათ თოვლისაგან, ხოლო 15 ნაწილზე კიდევ შეჩერებული ყოფილა მოძრაობა. (პ. ღ. ს.).

✦ **საზოგ. დოება „განათლება“.** არ არის დიდი ხანი, რაც პეტერბურგში დაარსდა საზოგადოება „განათლება“ და ეხლა უკვე 600-მდე წევრი ჰყავს, მომეტებულ ნაწილად სულ მუშები. საზოგადოება აკითხვინებს ლექციებს ყოველნაირ საგანზე და ამავე დროს ჰმართავს სალიტერატურო-სამუსიკო საღამოებსაც. სალექციო დარბაზის გარდა, საზოგადოებას აქვს აგრეთვე დარბაზი გაზეთებისა და ჟურნალების საკითხავად და ბიბლიოთეკა.

✦ **„შრომის კავშირის“ დადგენილება.** „შრომის კავშირის“ გამგეობამ ბოლოს დროს დაადგინა სარაიონო მომხმარებელთა დუქნებთან დაარსოს ბიბლიოთეკები. სადაც სხვათა შორის იქნება პოპულიარული წიგნები კოოპერატიულ საკითხებზე. დაადგინა აგრეთვე მოელაპარაკოს წიგნის მაღაზიებს, რომ კავშირის წევრთა შორის უფასოდ გაავრცელოს ჟურნალი „ტრუჟენიკი“.

✦ **საერო განათლების მინისტრის განკარგულება.** მოსკოვში ცნობა მიიღეს რომ საერო განათლების ახალმა მინისტრმა შვარცმა გააუქმა თავის წინამოადგილის კაუფმანის ცირკულიარი, რომლითაც გაადვილებული იყო კერძო სასწავლებელთა გახსნა.

უცხოეთი

ფოლადის ქალაქი. კრიზისი შეერთებულ შტატებში. ვინც თანამედროვე უზარმაზარ სამრეწველო ქალაქებიდან შორსა სცხოვრობს, ის ვერ წარმოიდგენს სიტყვა „კრიზისის“ ნამდვილ მნიშვნელობას. რასაკვირველია, თეორიულად ყველამ ვიცით, რომ მრეწველობის კრიზისი მრისხანე მოვლენაა, მაგრამ საკუთარმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ კრიზისის დროსაც ცხოვრება წინანდებურად მიმდინარეობს. ყველა ჩვენი ნაცნობი წინანდებურად იღებს ჯამაგირს; საქმეები ცუდად მიდის, მაგრამ დუქნები მაინც ვაჭრობენ, თეატრებში ხალხი დაიარება და რესტორანები სავსეა... იმის გასაგებად თუ რა არის კრიზისი, უნდა მოჰყვეთ გაჩურებულ კრიზისის დროს ერთ-ერთ დიდ საფაბრიკო ქალაქში, ისეთში, როგორიცაა მაგალითად პიტსბურგი, ანუ „ფოლადის ქალაქი“, პიტსბურგი სატახტო ქალაქია ამერიკის ფოლადის მრეწველობისა, და სამი თვის წინად ქარხნები ყოველ დღე ასი ათას ფუთობით ამზადებდნენ ლითონს, და ბაზარიც, როგორც მშრალი ღრუბელი, ჰნთქავდა ამ ნაწარმოებსა ამ წარმოებაში დიდი ხანია გაბატონდა მსხვილი კაპიტალი და ტრესტი, ამიტომ კრიზისმაც თავდაპირველად აქ გამოაჩინა თავისი გავლენა,

შორს ბქედან, ნიუ-იორკის ბანკებში ფინანსიური კრედიტი შეირყა და უცებ მთელი წარმოება ჩერდება, თითქოს კვდება, უზარმაზარი საქმეები კოტრდება, წინა დღეს-კი შეურყეველ საქმედ მიაჩნდა ყველას. ერთს-ორს დღეში მრეწველობის მთელი ოლქები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ სამრეწველო მსოფლიოსთან, იქცევა უდაბნოდ. თითქო რაღაც ქარბუქმა დაურბინა ურიცხვ ფაბრიკებსა, და ai ბოლითა და მჭვარტლით დაფარულმა ქალაქმაც ცა დაინახა... მრავალი საბოლეები დიდვრემილები დგანან შემჭვარტლულ ქალაქის გარშემო, ბანებიდან აღარ ამოვარდება. გამდნარ ფოლადის ყვითელი თვალის მომჭრელი შუქი და მილიონერების ქალაქს აღარ აშუქებს, ყველაფერი გაჩუმდა; ყველაფერი მიყუჩდა. ქარხნის კარები დაიკეტა, მუშები აღარა ჩანან: იმათ კარგა იციან, რომ კაპიტალი შეუბრალებელიცაა და ამავე დროს უძლურიც. მუშები ყოველ დღე ათასობით გადიან ამ ფოლადისა და რკინის ქვეყნიდან; ბევრს სახლი შეუძენია აქა, ეგონათ, რომ რკინის მძლავრ მრეწველობას არავითარ ქარიშხლისა არ ეშინიაო.

მთელი ეს ფოლადის მრეწველობა ერთის ტრესტის ხელშია, რომელსაც კარნეჯი მეთაურობს. საინტერესოა ამ არხიმილიონერის ბიოგრაფია. 40 წლის წინად უბრალო მუშა იყო; ეხლა საარაკო შეძლების პატრონია. მთელი ბურჟუაზიული პრესა ქებათა ქებას ასხავს იმის ნიჭსა. აქ იმის გარჩევაში არ შევალთ, თუ რის წყალობით ჩაიგდო ხელში კარნეჯიმ ფოლადის წარმოება და რა როლს თამაშობდა აქ იმისი ნიჭი; ცნობილია მხოლოდ, რომ მონტე-კარლოში და ნიცაში საუკეთესო სასახლეები იმას ეკუთვნიან და რომ იგი საკუთარის იახტით მიდის ხოლმე ევროპაში. ეგ კია, მართალი უნდა ვსთქვათ, კარნეჯი არ ივიწყებს სამშობლო ქალაქს. იმისი ფულით დაარსებულია აქ საუკეთესო ბიბლიოთეკა, უმაღლესი ტეხნიკური სკოლა, სამეცნიერო მუზეი, ფილარმონია და სხვ. ყველა ამ დაწესებულებაში გაისმის დიდება გენიალურ შემწირველისა; პროფესორები ლექციების დროს აქებენ კარნეჯის, როგორც მეცნიერების მფარველსა, ხოლო ქუჩის გაზეთები დაუღალავად ჩასჩიჩინებენ მოქანცულ მუშებს კარნეჯის კეთილდღეობასა.

პიტსბურგი ითვლებოდა ყველაზე მდიდარ ქალაქად ამერიკაში და ამავე დროს... ყველაზე ჭუჭყიანად. აქ ადვილად „კეთდებოდა ფული“, როგორც ამერიკელები ამბობენ, და მსხვილ ქარხნების გარშემო წვრილ მტაცებელთა მრავალმა ხრომ დაიბუდა, მაგრამ წვრილი მტაცებელი ფრთას ვერ გაჰშლის ამ მსხვილ კაპიტალის ქვეყანაში: მარტო ნამცეცები თუ შეჰხვდება. ნაღებს ტრესტები ჰხდიან. ყველა პირველ საჭიროების საქონელი ტრესტების ხელშია: ხორცი, პური, რძე, ყინული, ბოსტნეულობა, ხილი, თამბაქო,—ერთის სიტყვით ყველაფერი. კრიზისის გამო ყველა აქაური საქმე შეინძრა და რაც უფრო სუსტი იყო, ძირს დაეცა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ქალაქში, სადაც ნახევარ მილიონზე მეტი სული სცხოვრობს, 200 ათასი მუშა დარჩა უსაქმოდ. სამუშაო აღარაა, არც მომავალში ჩანს, სულ ამაოა საქმის ძებნა. ესვეთივე ამბებია სხვა ქალაქებშიაც, მთელ ამერიკაში. მთელს ქვეყნიერობაზე უმდიდრეს მრეწველობას მეტის მეტ სიმდიდრისა გამო საშინელი კრუნჩხვა მოსდის. როკფელერი, კარნეჯი და მარგანი კი უფრო მდიდრდებიან, კაპიტალი უფრო თავს იყრის, ხოლო უფრო სუსტი საქმეები ქრება, როგორც საპნის ბუშტი.

პიტსბურგში ერთ ფოლადის ქარხანაში მუშაობდა 1000-ზე მეტი რუსეთიდან გადმოსახლებული მუშა. კრიზისის გამო ესენიც უსაქმოდ დარჩნენ და, რასაკვირველია თქმა უნდა, როგორც ენისა და აქაობის უცოდინარნი, სხვებზე ძლიერ იგრძნობენ კაპიტალისტურ წესწყობილების „ზოგიერთ ნაკლულევანებას. („რუს. ვედ.“)

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ მცირე წერილს.

ჩემდა საუბედუროდ, 12 ამა თებერვალს ანდრეევის ქუჩაზე ერთ-ერთ სახლიდან გამოვარდნილმა ძაღლმა უცაბედად მიკბინა: თუმცა ძაღლის პატრონი მარწმუნებდა, ძაღლი ცოფიანი არ არისო, მაგრამ მე მაინც პასტერის ცოფის ასაცრელ სადგურს მივმართე. იქ დაუყოვნებლივ აცრა დამიწყეს და თან ბარათიც მომცეს პოლიციაში, რომ ქალაქის ბეითალს ძაღლი შეემოწმებინა. ქალაქის ბეითალს ძაღლი ენახა, მერე მოვიდა პოლიციის მეცხრე ნაწილში და ერთი ამბავი დამაყენა. ვერ გავიგე, რა აჯავრებდა. ლაპარაკში გაურია, რომ თქვენ შეიძლება ძაღლის პატრონს ფული გინდოთ გადაახდევინოთ და ამიტომ ასტეხეთ ეს აურზაურიო. ამ ჩემთვის წარმოუდგენელმა ეჭვმა გამაოცა, მაგრამ უფრო გამიკვირდა, როცა ქალაქის ბეითალმა შენიშვნელმა ორჯერ ზედი-ზედ გამიმეორა: ამ ძაღლის პატრონის ჩვენებას უფრო ვაქცევ უმთავრესს ყურადღებასაო. ბ-ნ ბეითალის ასეთ სიტყვების შემდეგ მე ისევ ასაცრელ სადგურს მივმართე და განვაგრძე მკურნალობა. ბეითალი ამბობს, ძაღლი ცოფიანი „არ“ არისო, მაგრამ ემყარება ძაღლის პატრონის სიტყვებზე. სწორედ დავღუპულვართ, თუ ბ-ნი ბეითალი მუდამ ასე იქცევა და ცოფიან ძაღლის შემოწმების დროს უმთავრესს ყურადღებას აქცევს ძაღლის პატრონის ჩვენებას. ამ მსჯელობას თუ აჰყევით, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ საბეითლო ინსტიტუტიც საჭირო აღარა ყოფილა და ბეითლის მაგივრობას მაშინ მეეზოვე შეასრულებს.

გ. თათარაშვილი.

——

ამ დღეებში «ისარს» ფოთიდან ამბავი მოსვლია და დაუბეჭდავს, აქ ამხანაგობა შესდგა საპნის საკეთებლად, და იმის გამგეობის წევრად ნ. ნიკოლაძე ამოირჩიესო. ამაში მართალი მარტო ისაა, რომ ამხანაგობა დაარსდა ამ აზრით, და მის მონაწილეობაში მეც ვურევივარ მოგეხსენებათ, ნდობაზე დამყარებულ ამხანაგობას (Товарищество на вѣрѣ) კანონი ნებას როდი აძლევს გამგეობის არჩევისას. გამგედ შიგ ის «სრული ამხანაგია», რომელიც პირადად და მთელის თავის ქონებით პასუხს აგებს ამხანაგობის ბედსა და უბედურებაში. ამას გარდა მე, როგორც ქალაქის თავს, კანონი მიკრძალავს ამხანაგობის და კამპანიების გამგეობაში სამსახურს. ამ მიზეზით, კიდეც რომ მეცადოს, ვერაფერს სამსახურს ვერ გავუწევდი გამგეობაში აბლად დაარსებულ ამხანაგობას.

ნ. ნიკოლაძე.

რედაქტორი **ვალ. გუნია.**
გამომცემელი **ი. ბელიაშვილი.**

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

დილით:

პ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

ე. მ. ჩიქოვანი: $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

ტ. ი. ბაბანაშვილი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

მ. გ. ავეტიანიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. მ. მუცკინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

გ. ი. გეგეჭკორი: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

ა. ი. კარამურზაევი: 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგანი და საბავშვო.

ა. ი. შერმაზანანი: $1^{1}/_{2}$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

გ. ი. გურჯინოვი: 11—12 საათ. ქალებისა და საბებიო.

საღამოთი:

ა. ი. გრიგორიანი: 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **პ. ა. ნავასარდიანი.**
(544—წლ.—35)

მეწაღეთა ამხანაგობა
ნდობამ
დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ავაზაკმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ მან საუკეთესოდ მოაწყო სახელოსნო განყოფილება, სადაც ჰკოიპოება შევროს, ხრომისა და ჩვეულებრივ მასალის ჩექმები, პოლსაპოჩკები როგორც ქალისა და კაცისა, ისე ბავშვებისა. სიაიწროვისა გამო იყიდება თითქმის მასალისფასად. ვთხოვთ შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს, რომ თავისი განზრახვა დაიკმაყოფილოს. ამხანაგობა იმყოფება კიროჩნი ქუჩაზედ, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ ბრეგვე ვთხოვთ, ვ-საც-კი რა წაუღიათ ნისიად, დროზედ დაუბრუნოს მტრისაგან ნაწამებ ამხანაგობას და იძულებულს ნუ ჰყოფს გაზეთებში გამოაცხადოს მათი სახელი და გვარი.
(20—6.—13) გამგე **ზ. შერძნაშვილი.**

ავეჯეულობის სავაჭრო
ქარხანა
ჰყიდის ხეხილის ნერგებს საქართველოს, რუსეთის და კავკასიის ჯიშებისას.
ადრესი: Станція Скра З. Ж. Д. Авсаркисову. კატალოგი მსურველთ უფასოდ ეგზავნება.
(15—62—15)

სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კუჭაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.